საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 21 0000890022

10/09/2021

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 03 აგვისტოს №765578 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 3 აგვისტოს № 765578 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის 2.1 და 2.2 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2.1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 2019 წლის 1 ოქტომბრის №182 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2.2. ცენტრის დირექტორის ,,აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ 2021 წლის 25 მაისის № 486579 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:“

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის №889999 სხდომის ოქმის №3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2 საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ